№ 209
ოთხშაბათი, 29 სექტემბერი, 1899 წ.

ფასი გაზეთისა:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 209
ოთხშაბათი, 29 სექტემბერი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**ამიერ კავკასიის რკინის გზა აცხადებს** საზოგადოების საცნობლად, რომ 30 სექტემბერს და 1 ოქტომბერს 1899 წელს **მცხეთის დღესასწაულზედ წამსვლელთათვის** ივლის მატარებლები ტფილისიდგან მცხეთამდე და მცხეთიდგან ტფილისამდე შემდეგ საათებში:

30 სექტემბერს

| ტფილისიდგან გავა | | | მცხეთიდგან გამოვა | | |
|---|---|---|---|---|---|
| მატ. № 537 | ნაშუად. | 4 ს. 10 წ. | მატ. № 538 | ნაშუად. | 5 ს. 10 წ. |
| „ № 17 | „ | 5 — 15 „ | „ № 18 | საღამ. | 6 — 52 „ |
| | | | „ № 8 | „ | 9 — 25 „ |

1 ოქტომბერს

| ტფილისიდგან გავა | | | მცხეთიდგან გამოვა | | |
|---|---|---|---|---|---|
| მატ. № 531 | დილის | 7 ს. 40 წ. | მატ. № 6 | დილის | 6 ს. 54 წ. |
| „ № 15 | „ | 8 — 10 „ | „ № 16 | „ | 10 — 8 „ |
| „ № 7 | „ | 10 — 15 „ | „ № 532 | „ | 11 — 00 „ |
| „ № 533 | „ | 11 — 45 „ | „ № 534 | „ | 12 — 50 „ |
| „ № 535 | ნაშუად. | 1 — 40 „ | „ № 536 | ნაშუად. | 3 — 20 „ |
| „ № 5 | „ | 2 — 40 „ | „ № 538 | „ | 5 — 10 „ |
| „ № 537 | „ | 4 — 10 „ | „ № 18 | საღამოს | 6 — 53 „ |
| „ № 17 | „ | 5 — 15 „ | „ № 8 | „ | 9 — 25 „ |
| „ № 539 | საღამოს | 8 — 15 „ | „ № 540 | „ | 10 — 30 „ |

ბილეთი ეღირება: ტფილისიდგან მცხეთამდე უკან დაბრუნებით 1 კლას.—1 მანეთი, II კლ.—60 კაპ., III კლ.—40 კაპ. ხოლო მარტო ტფილისიდგან მცხეთამდე, ან მცხეთიდგან ტფილისამდე 1 კლ.—55 კ., II კლ.—33 კაპ., III კლ.—22 კაპ. (3—6.—1)

**ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა აცხადებს,** რომ ქუთაისის მახლობლად მდებარე **მოწამეთის მონასტრის დღესასწაულის გამო** 1-სა და 2 ოქტომბერს ამა 1899 წელს ივლიან მატარებლები შემდეგის რიგით:

1 ოქტომბერს

მატარებელი № 390 ქუთაისიდგან გავა საღამოს 6 საათ. და 10 წუთს., მატ. № 31 გელათიდგან გავა საღამოს 7 ს. და 10 წ.

2 ოქტომბერს

| | | | |
|---|---|---|---|
| მატ. № 400 | ქუთაისიდგან | გავა დილ. | 6 ს. 05 წ. |
| „ № 402 | „ | „ | 8—45 |
| „ № 404 | „ | „ | 10—45 |
| „ № 406 | „ | ნაშუად. | 12—50 |
| „ № 408 | „ | „ | 3— „ |
| „ № 410 | „ | საღამოს | 6—10 |
| „ № 412 | „ | „ | 8—10 |
| „ № 401 | გელ. | გავა დილის | 7—40 |
| „ № 403 | „ | „ | 9—40 |
| „ № 405 | „ | „ | 11—40 |
| „ № 407 | „ | ნაშუად. | 1—50 |
| „ № 409 | „ | „ | 5—05 |
| „ № 411 | „ | საღამოს | 7—10 |
| „ № 413 | „ | „ | 9—15 |

ბილეთები როგორც მონასტერში წასასვლელად, აგრეთვე იქიდგან დასაბრუნებლად იყიდება ქუთაისის სადგურზედ. ღირს I კლასის ბილეთი იქითა და აქეთ—35 კაპ., II კლ.—20 კაპ. და III კლ.—15 კაპ. (3—6.—1)

კვირას, 10 ოქტომბერს, დილის 11 საათზედ სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში მოხდება **წლიური საზოგადო კრება ქართულის დრამატიულის საზოგადოებისა.**

განსახილველი საგნები:

1, წლიური ანგარიში გამგეობისა,

2, საზოგადოების ხარჯთ-აღრიცხვა დამდეგი წლისათვის.

3, სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევანები.

4, საზოგადოების ახალი წევრებთა არჩევანები.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**დ. ქ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**იაგ. ქ. ადამიანი**—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**ქ. ი. ბძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**ვ. მ. მახვილაძე**—ბავშვებისა და ყვავილის აცრა—2—3 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**გ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**გ. ა. ნავასარდიანი.** 7—$7^1/_2$ საათ.

---

# ფელეტონი

## ჩვენის თეატრის თავ გადასავალი

(ჩემი ნახსოვნი)

აგერ ამ დღეებში ქართველი საზოგადოება და არტისტები აპირებენ ოცის წლის სამუდამო სცენის განახლების დღესასწაულს და შემდეგ ამ წლის თავზედ, 2 იანვარს, სწორედ 50 წელიწადისას, როდესაც ქართულ სცენას საძირკველი ჩაედგა.

50 წელიწადი, ნახევარი საუკუნე!.. ადვილი სათქმელი სიტყვაა, მაგრამ ჩვენს დროს, ამოდენა ხნის განმავლობაში ხალხის ყოფა-ცხოვრების წინა-უკუ სვლის თვალის გადავლება ხელ-მოსაჭიდებელია.

განათლებულ ქვეყნებში ნახევარ საუკუნის განმავლობაში დიდი და დიდებული საქმეები მოხდა ყოველის მხრივ, ყოველ დარგში ადამიანის სულიერ და ნივთიერ ცხოვრებისა: არ ვასახელებთ პოლიტიკურს და სამოქალაქო წეს-წყობილებას, დავასახელებთ სამეცნიერო, სალიტერატურო და სახელოვნო სფერას, 50 წელიწადმა რამდენად გადაახალისა ძველი ცოდნა, გემოვნება, გონების გახსნა, რამდენად დაეხმარა ცხოვრების გაუმჯობესებას და გადაახალისა თვით ადამიანის ინსტინქტი თავის მდგომარეობის უკეთესად მოწყობისათვის!.. თანდათან გაფართოვდა ადამიანისა და საზოგადოების თვალთა-მხედველობა და ამ მხედველობამ წინ წასწია ხალხის დონე, გონება და თვით მრავალ-გვარი იარაღი თავის ცხოვრების კეთილ მოწყობისათვის. ამ მრავალ იარაღთაგან ერთი იარაღიც თეატრია.

ეს იარაღი (საზოგადოდ ხელოვნება და კერძოდ თეატრი) ყველა ხალხისათვის ძვირფასია, მას ძალა აქვს და გავლენა სხვა იარაღის მოპოებაზედაც. აქ არის დიდი მისი მნიშვნელობა, კიდეც ამიტომ ყოველ განათლებულ ქვეყანაში დიდად დაფასებულია და ამისთვის სახალხო საუნჯიდგან მუდამ ეძლევა დიდძალი დახმარება, ყოველ ხალხს ეს ხელოვნების ტაძარი თავის უცილობელ ტაძრად მიაჩნია და მას სწირავს შეძლების დაგვარად დიდ შესაწირავსა.

თუ-კი ჩვენზედ დაწინაურებულ ხალხებს, ჩვენზე განათლებულებს, მდიდრებს, ფართო სამოქმედო ასპარეზის მქონებელთ ასეთი დაფასება იციან თეატრისა, რაღა უნდა ითქვას ჩვენისთანა ხალხის შესახებ, თუ-კი სხვა ხალხებს ძვირფასად მიაჩნიათ ეს საბრძოლო იარაღი, ჩვენთვის ხომ ეს ერთად-ერთი საბრძოლო დიდ საჩუქრად უნდა მივიჩნიოთ. გვიხარიან, გვიყვარს და გვინდა ჩვენის ცხოვრების გასაუმჯობესებელ იარაღად გვქონდეს.

* * *

როგორ დაფუძნდა ჩვენი თეატრი და პირველ ხანებში რა გადახდა, ამის შესახებ, საკმაოდ არის ნაწერები. მათ შორის დავასახელებ იონა მეუნარგიას წერილს, რომელიც გიორგი ერისთავის თხზულებასთან წინასიტყვაობად არის დაბეჭდილი.

ერისთავის შემდეგ რა მდგომარეობაში იყო ჩვენი სცენა, ამის შესახებ ცოტა რამ არის აქა-იქ გაფანტული. ამიტომ მე მსურს რამოდენადმე იმ დროს გამო ვილაპარაკო, რაც-კი მახსოვს. ჩემი ნალაპარაკევი იქნება უბრალო ნახსოვნი ამბავი და არა შემუშავებული ტრაქტატი. ჩემის ნახსოვნის წერილიდამ შეიძლება რამ დასახასიათებელიც გამოდგეს ჩვენის საზოგადოებისა და თეატრის ცხოვრებისა. პრეტენზია არა მაქვს, რომ ისტორიულს მასალას ვწერდე, არამედ რაც მინახავს და გამომიცდია, ვეცდები სიმართლით და ნათლად გამოვხატო. თუ თეატრის ისტორიის მასალად გამოდგება, მოხარული ვიქნები; თუ მოსაზრებისათვის ვინმე გამოიყენებს, გამოიყენოს და თუ ცნობის მოყვარეს რაიმე კმაყოფილებას მისცემს, მეც კმაყოფილი დავრჩები.

* * *

ჯერ გიმნაზიის მოსამზადებელ კლასშიაც არ შევსულვიყავი და თეატრის სახელი არც-კი გამეგონა. ერთხელ ბიძა ჩემმა ძაღლების კამედიაში წამიყვანა. პირველი ნახვა იყო ამისთანა სეირისა. ეს კამედია ერთ პატარა ოთახში იყო, შუა ბაზრის დუქნის მეორე ეტაჟში. ტანთჩაცმულ ძაღლების თამაშობა-ხტომამ ვერაფრად იმოქმედა ჩემზედ. სხვა სეირისაგან ერთხელ პანორამა ვნახე, რომელიც სუმბათოვის ძველ სახლების კოშკში იყო და დიდძალს ხალხს იზიდავდა. ეს უფრო მომეწონა. იმ ხანებში (ტფილისის თეატრის დაფუძნებამდე თამამშოვის ქარვასლაში) ტფილისში იყო პირუტყვების „სამხეცო“, წმინდა სანთლის მუზეუმი, ცირკი. ნათესავები ბევრნი მყავდნენ, იმათში არავინ ახლო ვაჟკაცი არ მყავდა, რომ ვისმე წავეყვანე მამა მკვდარი ყმაწვილი. ქალები იმ დროს უკაცოდ ვერსად ვერ ივლიდნენ, ქვრივი დედა როგორ წამიყვანდა. ცირკში წამიყვანა პირველად ერთმა მეკამფეთემ, რომელიც ცოლ-შვილით ჩვენ გვერდით მდგმურობდა და ცირკში (სადაც ახლა პუშკინის სკვერია) ბუფეტი ჰქონდა. ამ კეთილმა კაცმა რამდენჯერმე წამიყვანა და ცარიელ ლოჟაში მსვამდა ხოლმე. არაფერი არ გამეგებოდა ბილეთისა, ან კაპელდინერისა, რომ არხეინად უბილეთოდ ლოჟაში ჯდომისათვის მეფიქრა. ცხენსა და თოკზე ვარჯიშობა არაფერ შთაბეჭდილებას არ სტოვებდნენ ჩემ გონებაში. მხოლოდ დიდის ინტერესით ვუყურებდი ბუნდოვან და მოსახიბლავ ფარანის სურათებს. ისე მოქმედებდა სურათები ჩემზედ, რომ ხშირად სიზმარშიაც ვხედავდი, რა რიგად შორიდამ წისქვილის სურათი ჩნდებოდა ფრთების ტრიალითა. ბუნდოვან სურათში რქიანი ეშმაკები გამოჩნდებოდნენ, მიმიკით ლაპარაკობდნენ, ფერხულს დააბამდნენ და ტრიალებდნენ. ცოცხალი სურათებიც კარგი სანახავები იყო, მაგრამ არაფერი მესმოდა და ამხსნელიც არავინ მყავდა.

ტფილისში 1851 წლამდე ამისთანა გასართობი სანახავები იყო.

თეატრი, ჩვენი ძველი, ტურფა და მშვენიერი ტფილისის თეატრი (თამამშოვის ქარვასლაში), პირველად მაჩვენა ერთმა ჩემმა ნათესავმა აბრამ ჩრდილელმა, რომელიც მოსკოვიდამ ახალი ჩამოსული იყო. ის იყო მხლებელი გიორგი მეფის მეუღლის დედოფლის მარიამისა და თან მოჰყვა მის ცხედარს მცხეთაში დასაფლავებაზედ დასასწრებლად.

სიზმარსავით რაღაც მახსოვს ქარვასლის და თეატრის აშენების შესახებ. სემინარიის წინ დიდი მთები იდგა არეულ კირ-ქვიშისა. თეატრის დარბაზს რომ აკეთებდნენ, ერთხელ როგორღაც მოვასწარი შემეხედნა. დავინახე ვარაყებიანი ზოლები. მაგ-

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს ₫ სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმჰართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**Первая частная лѣчебница** ***Д-ра Навасардіана.***

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову'**

**(—1—წ).**

ტფილისი, 28 სექტემბერი

ჩვენი ქვეყანა მეურნეობის ქვეყანაა. მას ხელს უწყობს ჩვენში ყოველიფერი: ნელ-თბილი ჰავა, ღონიერი მიწის ნიადაგი, მოკლე ვადიანი ზამთარი და სხვ. მეურნეობის მდგომარეობისაგან არის დამოკიდებული ჩვენის ერის და ხალხის კეთილ-დღეობა, წინ-მსვლელობა და წარმატება. სადაც მეურნეობა-მრეწველობა კარგს ნიადაგზედ არის დამყარებული, იქ ხალხიც ღონიერია, ხოლო სადაც ცუდს ნიადაგზედ, იქ ხალხიც ძალა-მოკლებულია და სუსტია. გამოაცალე ხალხს ეს სახსარი ცხოვრებისა და იგი განქრება, როგორადაც აჩრდილი წარმავალი, იმიტომ, რომ მეურნეობა კუჭია, დედის ძუძუა ხალხისათვის. თუ დედა დამჭლევდა, დაავადდა, შვილიც, უეჭველია, სნეული და ავადი შეიქმნება.

არც ერთს მტერს, არც ერთს ღვთის სასჯელს და მძლავრს ბუნების მოვლენას: გამავერანებელს სეტყვას, ნიაღვარს, ცეცხლს, ქარს, ჭირს და სხვ. არ შეუძლიან იმდენი ზნევა-ზარალის მიცემა ქვეყნისა და ადამიანისათვის, როგორც მეურნეობის დაცემა-დაქვეითებას. წაართვი ხალხს, რაც გნებავთ: ქონება, დიდება, პატივი, ის ყველას ისევ მალე დაიბრუნებს, ხოლო თუ შეურყევე კულტურული ცნება თავისის ქვეყნის მოვლა-პატრონობისა, მაშინ სულ ტყუილიღა იქმნება მისი ჯაფა შრომა.

ერთხელ ჩვენი ერიც, ჩვენი ქვეყანაც ყოფილა აყვავებული მრეწველობა-მეურნეობით. ბერძნები ჩვენს ხალხს დღესაც მიწის მხვნელ-მოქმედს ხალხს (გეორგიას) უწოდებენ.

ჩვენი სელი, თაფლი, აბრეშუმი, ბამბა, საქონელი: ცხენი, კამეჩი, ჩვენი სარწყავი არხები და მიწის შემუშავების წეს-რიგი განთქმული ყოფილა ძველს აღმოსავლეთის აზიის და ევროპის დადებულ ხალხთა შორის. ამ დროის ნაშთნი: მცხეთის, ზრაზმის, ქუმურდოს, საფარის, ჯავის-საყდარის, სამთავისის, ხუთსის, ატენის, ურბნისის, ცხომის და სხვ. ტაძარნი, საქართველოს კოშკ-ციხენი, სარწყავი არხები დღესაც აკვირვებს მნახველთა. ათასს წელს გაუვლია და ისე გგონიათ, რომ გუშინ აეშენებინოთ. განა ესენი იმას არ ამტკიცებს, რომ ჩვენი ხალხი კულტურას მოკლებული არა ყოფილა, რომ იგი ველურად ჩასათვლელი არ არის?!.

აი ამ მეურნეობა-მრეწველობის გაღონივრება-გაძლიერებას უნდა მიექციოს ყურადღება. ეს ერთნაირად საზრუნველია ყველა ჩვენის ერის წოდებისათვის: თავადისა, აზნაურისა და ერისკაცისათვის.

დღეს ჩვენს ქვეყანას, როგორც ვიცით, ესტუმრა მეურნეობისა და სახელმწიფო ქონების გამგე-მინისტრი ა. ს. ერმოლოვი, რომელსაც ღვაწლიც მიუძღვის საზოგადოდ ამ მრეწველობის რიგიანად მოწართვა-წარმოებაში მთელ რუსეთის იმპერიაში.

უეჭველია ჩვენი საზოგადოება ისარგებლებს მისის მობრძანებით ჩვენს მხარეში, რათა გააცნოს დაავადებული ჩვენი ქვეყნის მეურნეობა. დიდი იმედი გვაქვს, რომ იგი მამობრიულად იზრუნებს და არ დააკლებს ჩვენს მხარეს როგორც ეხლა, ისე შემდეგაც დახმარებას.

პირველს ჩვენს გაჭირვებას, უეჭველია, შეადგენს სამეურნეო სკოლის უქონლობა. მისი საჭიროება ყველასაგნ კარგად შეგნებული და ცნობილია დღეს. ეკონომიური ძალღონე ხალხისა მუდამ დამოკიდებულია სამეურნეო-სამრეწველო სწავლა-ცოდნის ამ, თუ იმ მდგომარეობაზედ. ასეთის სკოლის დაარსება ჩვენში გარდაწყვეტილი იყო სამინისტროს-მიერ ისევ ამ ორის, თუ სამის წლის წინად. სამინისტრომ სცნო საჭიროდ, ნაცვლად აწ არსებულის საბრეშუმო სადგურის და საბაღოსნო სკოლისა, დაეარსებინა ქ. ტფილისში ერთი საშუალო-სამეურნეო სასწავლებელი, რომლის შესახებაც მოსთხოვა მან აზრი სამინისტროს კავკასიაში რწმუნებულს ბ-ნს მედვედევს. ბევრ-ნაირი აზრი გამოითქვა ჩვენს მწერლობაში ამის შესახებ, მაგრამ არც ერთი მისაღები არ არის. ამისთანა სკოლა, რასაკვირველია, დიდად საჭიროა და სასარგებლო ჩვენის ქვეყნისათვის, თუ რომ ეს იქმნება დაარსებული სადმე სოფელში. ქ. ტფილისს არ მოეპოვება არც ერთი პირობა სამეურნეო საქმის სწავლა-ცოდნის მხრივ რიგიანის წარმართვისათვის. მეურნეობა ქალაქელების ხელში-კი არა, სოფლელების ხელშია. არც მოსწავლეებისათვის იქმნება სასარგებლო ქალაქში ტრიალი და ცხოვრება, რომელსაც შეუძლიან სულ სხვა-ნაირად იმოქმედოს მოსწავლე ნორჩ მეურნის ზნეობა-მიმართულებაზედ.

საჭიროება სოფლად ამ ნაირის სასწავლებლისა დღეს ანბანურ ჭეშმარიტებას-ღა შეადგენს. უნდა გამოირკვეს მხოლოდ ის, სად უფრო სასარგებლო იქმნება მისი დაარსება. ამ გვარ ადგილად ჩვენ მიგვაჩნია ქვედა აღმოსავლეთი კახეთი, რომელიც, უეჭველია, ძალიან მალე შეუერთდება შიდა რუსეთს რკინის გზით და წარმოადგენს შედარებით დიდად ხელის შემწყობს პირობებს სამეურნეო ცოდნა—მრეწველობის განვითარება-განძლიერებისათვის.

არა ნაკლებ საჭიროა აღდგენა-განახლება სარწყავის არხებისა საქართველოში. ჩვენი ქვეყანა დრო გამოშვებით იღუპება ხან გვალვით და ხან დაჟინებულის წვიმებით. დროა მიექციოს ამას ყურადღება და მოეღოს ბოლო: როდემდის უნდა იყოს, ღმერთმან იცის, გლეხის შრომა-ოფლი დამოკიდებული ზეცის ყოფა-მდგომარეობაზედ. უწინ მთელის ალაზნისა და ივრის ხეობა-ველები ირწყვებოდა თურმე მრავლად გამოყვანილის არხებით და რუებით. დღევანდლამდე დარჩენილია ალაზნის ველზედ უშველებელი არხი, რომელსაც „თამარ დედოფლის არხს" უწოდებს ხალხი. ეს იყო გამოყვანილი, ხალხის თქმულებით, თეთრის არაგვიდგან დუშეთის მაზრაში ჟინვანის ახლოს და ჰრწყავდა მთელს შიდა კახეთს, ქიზიყს, ვიდრე ივრისა და ალაზნის შესართავამდე.

აგრეთვე სარწყავი არხებით იყო დახურული მთელი ივრის ხეობა. ესენი დღესაც სჩანან ივრის ველზედ. მათი განახლება არამც თუ დაიხსნის შიმშილობისაგან კახეთ-ქიზიყს და მთელს გაღმა-მხარს, არამედ ბეღელ-ბოღაზად გარდააქცევს ამ მხარეს მთელის რუსეთის იმპერიისათვის. მერე რა არ შეიძლება მოვიდეს აქ: ბამბა, თამბაქო, რომელიც ეხლაც ბლომად მოდის, სელი და კანაფი, საუკეთესო ჯიშის ყურძენი და ხილეულობა, ჩაი და სხვ. სუბტროპიკული მცენარენი.

ბ-ნი მეურნეობის მინისტრი რომ იშუამდგომლებდეს, რათა მისცემოდათ სოფლის საზოგადოებათ სესხად თავისს სამეურნეო თანხიდგან საჭირო ამ საქმისათვის ფული და გიდრავლიკნი, მაშინ სოფლის საზოგადოებანი მიიღებდნენ თავიანთ თავზედ მიწის ყოველ-გვარ სამუშაო საქმეს.—სამეურნეო თანხის რაოდენობა-კი დღეს მარტო ქიზიყ-კახეთში აღემატება 230,000 მანათს.

არა ნაკლებ საჭიროა მიექცეს ყურადღება ყველა უმთავრესს ნაწარმოებებისათვის საწყობების დამართვას ქალაქ ტფილისში: მატყლის, სულადის, თამბაქოს და სხვ. ხალხიც შემზადებულია ამისთვის.

ეგრეთვე უნდა დაჩქარდეს კახეთის რკინის გზის გაყვანის საქმე და საზოგადოდ ტარიფების შეთანხმება საქონლის ღირებულების თანახმად. დღეს-კი ეს საქმე ისეა მომართული, რომ მეურნე მოსავალს ვერც გარედ გაიტანს გასასყიდად ტარიფის მაღალ ფასების-გამო, ხოლო უმოსავლობის დროს შორიდგან შემოტანისა. —

დიდს საჭიროებას წარმოადგენს კიდევ, რომ რკინის გზებმა იქონიონ ღვინის სატარებლად მომართული საბარგულე ვაგონები, რომ ჩვენი ღვინო წაუხდენლად გაიტანოს კაცმა ან რუსეთში და ან სადმე საზღვარ გარედ.

საჭიროება, რასაკვირველია, სხვაც ბევრია, მაგრამ ჩვენ მხოლოდ რამდენიმე უმთავრესი დავასახელეთ, რომელთა დაკმაყოფილებაც ჩვენს დაცემულს სასოფლო მეურნეობას ცოტად თუ ბევრად წინ წასწევს.

ა. ნ.

# ახალი ამბავი

*** 27 სექტემბერს, ღამის 1-ლ საათსა და 25 წუთზედ, ჩამოვიდა ტფილისში მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი დ.

---

რამ რაც დასრულებულმა მორთულობამ დამანახვა, იმას რა შეედრებოდა. ხელოვნებით, გემოვნებით, აუჭრელებლად დახატული დარბაზი, ფირუზ-ზურმუხტით და ოქროთი შეჭედილ კოლოფსა ჰგავდა, ზომიერად განათებულს. ეხლანდელი თეატრის მხატვრობა ძველთან სულ უგემურ გახუნებულ მქრალ ხელოვნებას ჰგავს. ფარდა, ის მშვენიერი ფარდაც-კი დღეს გაუშნოებულა ვილაცა უნიჭო მღებარის ხელით. დარბაზის ბრწყინვალებას, რასაკვირველია, უნდა ემოქმედნა ჩემზედ. ამ საღამოს იტალიური ოპერა იყო, მაირბერის „რობერტ დიავოლო". შინაარსი ოპერისა არ მითხრეს, თითო ორიოდ ადგილს გარდა. ვერ შემიძლია გამოვთქვა, რა ვიგრძენი, როდესაც მწყობრი გალობა გავიგონე, ვნახე მოცეკვავე ამდგარი მკვდრები სასაფლაოზედ, ღრუბლების დაშვება, მწირბერების ხორო, ჯვრის ძელი, ეშმაკის მიწაში ჩასვლა და ამოსვლა. ორჯელ მაჩვენეს ოპერა; მეტად არ მინახავს. ეს უნდა ყოფილიყო, ვგონებ, 1852 წ. როდესაც მე გიმნაზიის პირველ კლასში ვითვლებოდი.

ქართულ თეატრის ამბავი გავიგონე პირველად „გაყრის" წარმოდგენის შემდეგ ჩვენს ნათესავებში. ბევრს ეხსომება ეხლაც ლეიპციგში ნასწავლი დოქტორი ზაქარია ზუბალოვი; მას იცნობდა ტფილისის საზოგადოება. კითხულობდა ნემეცურ „ალგემეინე ცეითუნგს" იმ დროს, როცა რუსულ ენაზე პოლიტიკური გაზეთი არ არსებობდა და ჩვენ საზოგადოებაში ცოცხალ გაზეთის სამსახურს ასრულებდა. შესანიშნავი იყო ერთის წინადადებით, რომელიც მან გამოსთქვა საექიმო საზოგადოებაში ნაპოლეონ III წინად, რომ ხოლერის და ჭირის წინააღმდეგ საჭიროა ხალხთა შორის (სახელმწიფოთა შორის) კომისსია შესდგესო. ეს აზრი მართლა მალე არსებაში მოვიდა ნაპოლეონ III მეთაოებით. აი ეს დოქტორი სხვა სტუმრებ შორის დასწრებოდა თავისის ცოლით (დედი ჩემის დეიდა შვილით) პირველ ქართულ წარმოდგენას გიმნაზიის დარბაზში. ცოლი ლაპარაკობდა წარმოდგენის მეორე-მესამე დღეს რა რიგად თამაშობდა გიორგი ერისთავი ვაჭრის როლს და ხალხი რა რიგად იყო აღტაცებული. ძალიან ბევრს იცინოდა გიორგი ერისთავის იმ სიტყვაზედ, როდესაც პიესის ბოლოს ახალ დანიშნულებს ლოცავს: „ემე იყოს თქვენ თავზედაო". (დაბეჭდილ პიესაში „ამინ იყოს თქვენზედა".) დოქტორის სახლობას გამოვართვი წასაკითხავად იმ ხანებში დაბეჭდილი „გაყრა"... გიორგი ერისთვის სახელი წინად მქონდა გაგონილი, ხელნაწერი მისი „შეშლილი" აქა იქ იპოვებოდა და გადაწერილი ჰქონდა დეიდა ჩემსაც. ჩემ ნათესავებში თითქმის ზეპირად იტყოდნენ ხოლმე ზოგ ადგილებს; მაგალითად:

შეშლასაც მოდათ შემოიღებენ,
როგორც უკანით ბამბებს იდებენ.

ან კიდევ:

ამბობენ, თურმე იყო ლოთრანგი:
დიდ მარხვას ერთხელ სჭამა ბორანი.

ერისთვის სახელი ახლა გაყრის შემდეგ ბევრგან ისმოდა.—

ქართული წარმოდგენები დაიწყო, მაგრამ მე მხოლოდ აფიშებს ვკითხულობდი და თვით თეატრი-კი ვერავინ მაჩვენა, ვიდრე ბებია ჩემმა არ გამირიგა საქმე. ნაზხირის მეიდანთან ბებიას მამისეულ სახლში ერთ პატარა ოთახში (ქირით თვეში 4 მანეთად) იდგა მდგმურად ქართულის თეატრის აქტიორი აბრამიძე. ჩემ უცოდნელად თურმე იმისთვის ეთხოვნა ბებიას, ჩემი ქალის წული წაიყვანე თეატრშიო. ერთ კვირა დღეს ბებიამ მითხრა, დღეს შუადღისას აბრამიძე თეატრში წაგიყვანსო და ჩვენსა მოდიო. მივედი, მიმიყვანა იმასთან. აბრამიძე შუა ტანის კაცი იყო, ქართული კაბა ეცვა, მოგრძო სახისა იყო, კეთილი გამოხატულობისა. ის იყო ცოცხალი კომიკი ქართულის დასისა.

ბებიამ რომ მიმიყვანა, აბრამიძე თითქოს აირია. რომ შევხედე, ასე ვიფიქრე, წაყვანა არ უნდა მეთქი... ჰო, მოვიდეს, წავიყვანო. ეს ხომ ასე თქვა საიმედოდ, მაგრამ გულში-კი ჩამრჩა, რას ყოყმანობს მეთქი. მე არ გამივლია ფიქრში, თუ რაგვარად შემიყვანდა თეატრში, როდესაც მას საქმე ექმნება, ან ტანთ ჩაცმული და სახე შეცვლილი როგორ გამოვიდეს გარეთ.

მიმიყვანა გალერეის ასავალ კიბესთან და მითხრა, აქ მოიცადეო. მე სულ-განაბული და იმედ მილეული მოველოდი, როდის გამოვა და შემიყვანს სანატრელ ადგილსა მეთქი. ხალხი შესავალთან ირეოდა ბლომად და ვერც შედიოდა და ვერც მოშორებოდა კარსა. არ ვიცი ჩემსავით უბილეთოები იყვნენ, თუ სცენისათვის შესაყვანები. ამ დღეს „მზის დაბნელებას" თამაშობდნენ და, რასაკვირველია, დაბნელების სცენისათვის ხალხი იყო საჭირო. იქნება კართან ეს გროვა უცდიდა შესვლის დროს. კარგა ხანმა გაიარა, იმედი მეკარგებოდა. უეცრად გამოვიდა აბრამიძე და დამიძახა, ამიყვანა დახვეულ კიბეზე და შემიყვანა გალლერეიაში. არაფერი მახსოვს კაპელდინერს უთხრა რამე თუ არა და დასაჯდომი ადგილი ვინ მიჩვენა.

პირველ მოქმედებიდამ მახსოვს წივილ-კივილი რძალ დედამთილისა, მერე ლაპარაკი მიკირტუმასი, რომელიც მოსულა გეურქასთან ქალი მიეცი ჩემ ნათლულ აფიცარსაო. მიკირტუმას როლს, აბრამიძე თამაშობდა. ძალიან კარგად დამახსოვდა ფიგურა აბრამიძისა და ის შთაბეჭდილება დღევანდლამდე გონებიდამ აუხოცლად მეხატება. ის იყო გასუქებულ მოქალაქეთ, მრგვლათ ჩაცმული, შახიშუხით მოლაპარაკე აჩქარებით, როგორც ხორც მსუქან კაცებმა იციან; იმისთანა კილოთი, რომ მსმენელს ახალისებს, მხიარულს გუნებაზედ აყენებს და გაიტაცებს. გეურქა რომ მზის დაბნელების დროს საშინელის ამბების მოხდენის შესახებ ლაპარაკობს, მიკირტუმა ეუბნება:—ერთ თუნგ ღვინოს გადავკრავო და სანამ გამოვიფხიზლებ, მზეც განათლდებაო. ეს ლაპარაკი დამახსოვდა, მთელი თეატრი ხარხარებდა. უკეთესი სცენა კიდევ ის მახსოვს ბოლოს მოქმედებისა, როდესაც მოთქმით მომტირალე ქირისუფლები, ჩადრებში შემოხვეულ სტუმრებში, სხედან და შემოდის მიკირტუმა.—ადექით, რა დროს ტირილია, თქვენი ქალი ჩემ ნათლულს გველაშაპისაგან გადურჩენია და ახლა პირობასა გთხოვთ, თუ ცოლად მომცემთ, დავიხსნიო; თუ არა და დავანებებო. ხელწერილს ართმევს გეურქას: „ჰაი და შტუკ!". ასტეხს სიცილს. „ვიდალ კაკოი შტუკ მასტერ მიკირტუმ გასპარიჩ"... მთელი თეატრი ზანზარებს სიცილისაგან.... რის გველაშაპი, რის დახ-

ტ. ს. ა. ს. ერმოლოვი. იმ მატარებელმა, რომლითაც მინისტრი მოვიდა, დაიგვიანა თითქმის $4^1/_2$ საათით, რადგან კასპისა და ქსნის სადგურებს შუა ლიანდაგს გადასცდენოდა საქონლის მატარებლის ორთქლმავალი და შეეკრა გზა; ამის გამო მგზავრები მეორე მატარებელში გადასვეს.

⁂ ამას წინად ამიერ-კავკასიის გუბერნატორთ წინადადება მიეცათ იმის შესახებ, თუ რამდენად საჭიროა გუბერნიებში სამეურნეო სკოლების დაარსება და ამასთან აღენიშნათ, თუ გუბერნიის რომელ ადგილებში უფრო სასურველია ასეთ სკოლების დაარსება, რა საფუძველზედ და სხ. ეს ცნობები, როგორც ისმის, მიწად-მოქმედების მინისტრს წარედგინება ტფილისში.

⁂ გზათა მინისტრმა 26 სექტემბერს დაწვრილებით დაათვალიერა ყარსის რკინის გზაზედ ის ადგილი, სადა 17 სექტემბერს მატარებელი დაიმტვრა. რადგან უბედურობის მიზეზთა გამომკვლეველმა კომისიამ უკვე დაამთავრა გამოძიება, ამის გამო დაზიანებული ვაგონები და ორთქლმავალი უკვე ლიანდაგზედ დაედგათ, ხოლო დამსხვრეულ ვაგონების ნამტვრევები-კი ბაქანზედ დაელაგებინათ. გზის გამყვანის ბ-ნის ვურცელის აზრი, ვითომ მატარებლის დამტვრევის მიზეზი მემანქანე ყოფილიყოს, მინისტრმა უსაფუძვლოდ სცნო. ხოლო გზის გამყვანის მოხსენება: დამტვრეულ მატარებლის მემანქანე ამას წინად სამსახურიდგან დავითხოვეო, მინისტრმა ძალიან გაიკვირვა და იკითხა, განა შეიძლება, რომ დათხოვნილი მემანქანე მატარებელზედ დაინიშნოს და ისიც სამგზავრო მატარებელზედაო.

გზის დათვალიერების შემდეგ მინისტრი ბაქოს გაემგზავრა.

⁂ ქალაქის გამგეობამ ასზედ მეტი საჩივარი მიიღო ტრაქტირებისა და სასმელების დუქნების პატრონთაგან იმის გამო, რომ მათ შორის უწესოდ იქმნა განაწილებული ქალაქის სასარგებლო სატრაქტირო გარდასახადი. ვიდრე ამ თხოვნებს გამგეობა განიხილავდეს, ამ უკანასკნელმა სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველს მიანდო გამოძიება მოახდინოს ამ თხოვნების მიხედვით და გამოარკვიოს საშუალო რიცხვით თვითეულ მომჩივნის დუქნის შემოსავალი.

⁂ ტფილისში ჩამოვიდა ტფილისის გუბერნიის საერო სასწავლებელთა ახალი დირექტორი კ. გ. დიმიტრიევი.

⁂ 26 სექტემბერს ტფილისის რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელში მოხდა წლიური აქტი, რომელსაც დაესწრნენ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი, ზოგიერთ ადგილობრივ სასწავლებელთა მასწავლებელნი და უფროსნი და აგრეთვე მოსწავლეთა მშობელნი. მოსწავლეთ დაურიგეს კარგის სწავლისა და ყოფა-ქცევისათვის ქების ფურცლები და წიგნები.

⁂ 26 სექტემბერს, თიონეთის მაზრაში გაემგზავრა ინჟინერთა კომისია ახმეტ-თიონეთის გზის მუშაობისა და აგრეთვე თვით ამ გზის დასათვალიერებლად.

⁂ რადგან სამი თვე გავიდა მემკვიდრე ცესარევიჩის და დიდის მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძის გარდაცვალების დღიდგან, ამის გამო ტფილისის გარნიზონს ებრძანა, რომ დღეიდგან, (29 სექტ.) აღარ ატაროს სამგლოვიარო ნიშანი.

⁂ სამთო მრეწველობის გასაძლიერებლად მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა შესაძლებლადა სცნო არ ჩაითვალოს კავკასიის მიწა-ადგილები ნაკლებ დასახლებულ ადგილებად და იმ მოწმობათა მოქმედების ვადა, რომელნიც ეძლევა მადნების მძებნელთ, დაწესდეს სამთო მრეწველობის წესდებაში ნაჩვენები ვადა, სახელდობრ: სამი წელიწადი, ხოლო ქვობიან და ტბიან მადნებისათვის—ორი წელიწადი.

⁂ საფარმაცევტო „მკერდის ნიშნის“ ტარების უფლება, როგორც ისმის, მიეცემათ მხოლოდ ფარმაციის მაგისტრებსა და პროვიზორებს.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუმტკიცებია ქუთაისში დასაარსებელ „ბავშვთა სამზრუნველო საზოგადოების“ წესდების პროექტი.

⁂ გლეხთა ადგილ-მამულის მოსაწყობ სამუშაოთა რევიზორმა დ. ტ. ს. ბელენკოვმა დაათვალიერა ტფილისისა, ბაქოსა და ქუთაისის გუბერნიებში განსაკუთრებულ დასების მუშაობა, და ტფილისში დაბრუნდა მიწად-მოქმედების მინისტრისათვის თვისის მგზავრობის ანგარიშის წარსადგენად.

⁂ ხმოსან-ტეხნიკოსთა კომისიას განსახილველი აქვს იმ ფირმების წინადადებანი, რომელთაც სურვილი განაცხადეს იკისრონ ტფილისში ელექტრონის განათების გამართვა. განსაკუთრებული მცირე კომისია ამ დღეებში შეჩერდა ორის ფირმას—სიმენსისა და პოდობედის—წინადადებაზედ. ორივე ფირმა თანხმობას აცხადებს დადგან ქუჩებზედ ფარნები და გამართონ მთავარი საელექტრონო სადგური, რომელსაც შეეძლება ძალა მიაწოდოს ლამპებს სახლებში. სიმენსის ფირმის ხარჯთ-აღრიცხვით ერთ დროებითს ხარჯად საჭიროა 393,000 მან., ხოლო პოდობედის ფირმის ხარჯთ-აღრიცხვით-კი—396,000 მან. ორივე ფირმა თანხმა არის დანახარჯი ფული ათის წლის განმავლობაში მიიღოს სარგებლით.

⁂ 27 სექტემბერს, ტფილისის ქალაქის საბჭომ განიხილა ქალაქის გამგეობის უფროს ბუჰგალტერის ნ. ზ. ნაზაროვის თხოვნა და გამგეობის მოხსენება ამ თხოვნის შესახებ. ბ-ნს ნაზაროვს 24 წელიწადი უმსახურნია ქალაქის გამგეობაში. ამ ჟამად ისე დაავადმყოფებულა, რომ თავისის შრომით თავის რჩენა აღარ შესძლებია. ამისათვის ქალაქის თვითმართველობისათვის უთხოვნია შემწეობა. გამგეობას დაუდგენია ეძლიოს ბ-ნს ნაზაროვს ყოველ წლობით 1500 მ., და მისი გარდაცვალების შემდეგ მისს ცოლს—ამ ფულის ნახევარიო; საფინანსო კომისიას ის აზრი გამოუთქვამს, რომ 900 მანეთი ეძლიოს წლიურად, და მისი სიკვდილის შემდეგ მისს ცოლს 450 მან., საფინანსო კომისიის ერთს წევრს—ბ-ნს პპაროვს თავისი განსაკუთრებული აზრი გამოუთქვამს: 1200 მან. ეძლიოს წლიურადაო. საბჭომ დაფარულის კენჭის ყრით საფინანსო კომისიის აზრი შეიწყნარა, ე. ი. 900 მანეთის ძლევა გარდაუწყვიტა ბ-ნს ნაზაროვს ყოველ წლობით.

შემდეგ საბჭო შეუდგა ქალაქის ბეითლების სახელმძღვანელოდ შემუშავებულ ინსტრუქციის პროექტის განხილვას. განიხილა მხოლოდ 25 მუხლი და დანარჩენის განხილვა შემდეგისთვის გადიდვა. კრებას დაესწრნენ ტფილისის საგუბერნიო ბეითალი და ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორი ბ-ნი სტეფანოვი, რომელნიც ინსტრუქციის განხილვის დროს მონაწილეობას იღებდნენ კამათობაში.

⁂ როგორც „Пет. Вѣд.“-ი იუწყება, მიწად-მოქმედების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ფილოქსერისა და ვაზის სხვა სენის წინაამდეგ საბრძოლველად ყოველ წლობით იმაზედ მეტი ფული იქმნას გადადებული, რასაც აქამდის გადასდებდნენ ხოლმე.

⁂ იმავე გაზეთის სიტყვით, მიწად-მოქმედების სამინისტროსვე აზრადა აქვს დააარსოს ტფილისში შინა-მრეწველობის განსაკუთრებული კომიტეტი. სამინისტრო უკვე შესდგომია ამ საგნის განხილვას.

⁂ ფოთი. ქალაქის საქმეების შესახებ ამ დღეებში დეპეშით დაიბარეს პეტერბურგში ქალაქის მოურავი ბ-ნი ნიკოლაძე. სხვათა შორის დეპეშა მიიღო სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტის დირექტორისაგან და 27 სექტემბერს პეტერბურგში წავიდა.

⁂ ს. ასკანა, (გურია). აზნაური პარმენ ასათიანი და მთავარი სიმონ შარაშიძე, კარგა ხანია, ებრძვიან ერთმანეთს ერთი ნაკვეთი ადგილის საზღვრის შესახებ; ასათიანი შარაშიძეს არ უთმობს და შარაშიძეც თავისას ასათიანს არ ანებებს. უკანასკნელ შემთხვევაში შარაშიძემ მიიყვანა მოწმეები საზღვრების გასასწორებლად, მაგრამ ასათიანმა დაუყვირა—აქეთ არ გამოექანოთ, თორემ ყველას ცხვირპირს დაგამტვრევთო. შარაშიძემ უპასუხა: ჩემს ადგილში კიდევაც გამოვექანები და კიდევაც ჩამოვალო, და, ის იყო, მიდიოდა თავისს ადგილში, რომ ასათიანმა სტაცა ხელი და იქვე ჩააზვია. ამ დროს მოირბინა შარაშიძის შვილმა, დაჰკრა ასათიანს დიდი კეტი თავში და ზედ გადაატეხა. ასათიანი იქვე დაეცა გასისხლიანებული და შარაშიძე-კი საჩივლელად წავიდა მაზრის უფროსთან.

არ იქნა და არა, ამ ვაჟბატონმა (ასათიანმა) დევ-გმირობა-ლომ-ტარიელობას არ დაანება თავი!!.

⁂ თამარის ქუჩაზედ, პოლიციის მეცხრე განყოფილებაში მუდამ ალიაქოთი და ჩხუბია. უქმი დღე აქ არ გაახ-

---

სნა... ჯვარი დაუწერია აფიცერს და გათავებულა. ეს სცენა არ დამავიწყდება. შუა სცენა მზის დაბნელებისა და ბოლონდელი ყოველთვის ცოცხლად მიდის და მაშინაც მახსოვს ცოცხლად ითამაშეს. პირველი მოქმედება უფრო მძიმე იყო. მხოლოდ გლეხის ლაპარაკი ძალიან მოსწონდა საზოგადოებას. მახსოვს ის ადგილი, როდესაც გლეხი ბოთლს ახსენებს. მარცხენა ხელით მარჯვენის მაჯა დაიჭირა და მუშტი შეათამაშა; ამოდენა შეხვრეტილი ჰქონდა ძირიო. „თუ ქრისტიანის სული უდგას იმის გამკეთებელსა, რა ენაღვლებოდა, ი ბოთლას სწორე აბრუ გაუკეთოსო.“

ამ წარმოდგენის შემდეგ რუსული რაღაც მოკლე პიესა, ვგონებ ვოდევილი, ითამაშეს რუს არტისტებმა. რამდენადაც მახსოვს, ლოჟებსა და პარტერში ხალხი ნაკლებად იყო; გალლერეა კი სავსე იყო.

1854 წლის გასულიდამ დაიკეტა ქართული სცენა ვორონცოვის წასვლის შემდეგ. თამამშოვის ქარვასლის თეატრში 1856 თუ 57 წლამდის ქართული პიესაც აღარ წარმოდგენილა. ერთი პიესა დასდგეს, ვგონება 1856 წელს ივანე კერესელიძის დრამა: „შვილი უმანკოებისა,“ რომელიც მეორე პიესა იყო იმ თეატრში ჩემი ნახული. იმის წინად მოღნინის (აბასაბატის) მეიდანთან შერმაზანოვის დარბაზი დაიქირავეს ქართულ წარმოდგენისათვის. ამის შესახები მეუნარგიას მოჰყავს ივანე კერესელიძის მოთხრობა, რომ ექვსი თვე ჰქონდათ იქ წარმოდგენებიო. მე მახსოვს ის დარბაზი, თეატრად გადაკეთებული და ვიცი რა შრომით და ვისი ხარჯით იყო გაკეთებული. ამიტომ შემიძლიან რამდენადმე შევავსო კერესელიძის ნაამბობი.

ვარანცოვის შემდეგ რა კი მოისპო ქართული ჟურნალი „ცისკარი“ და ქართული სცენა სახელმწიფო თეატრში, ვისაც ამ ორი საგნისათვის გული შესტკიოდა, რასაკვირველია, სწუხდა და ამათში პირველი კაცი იყო ალექსანდრე ორბელიანი (მეტის სახელით პუპლია), ძმა მოლექსის ვახტანგისა, შვილი თეკლე ბატონიშვილისა. ეს კაცი არ იყო ნიჭიერი, მაგრამ მისი ნიჭი იყო უსაზღვრო სიყვარული დედა ქვეყნისა. ის ავის თვალით უყურებდა გიორგი ერისთავს და პლატონ იოსელიანს მათის გრძნობისათვის ვარანცოვის მიმართ. ის ასე ფიქრობდა, ჩვენი დახმარება ჩვენის ღონითვე უნდა მოვახერხოთო. ჟურნალიც და თეატრიც ჩვენვე მოვაწყოთო. ამისთვის მან ხელი შეუწყო ყმაწვილ კაცს ივანე კერესელიძეს, უყიდა გიორგი ერისთავის სტამბა, გამოატანინა ნება-რთვა ცისკრის გამოცემისა, რომელიც ერისთავმა 1853 წ. შემდეგ მოისპო და მერმე კერესელიძის რედაქტორობით 1857 წელს გამოვიდა. კერესელიძე ზედამხედავად იყო ტფილისის გიმნაზიაში მაშინდელ ჯამაგირით 300—400 მ. წელიწადში და ღარიბად ცხოვრებდა. ალექსანდრემ თავისს სახლში სალოყბოზე (ეხლა ეგზარხოსის მეიდანი) ქვემო ეტაჟში სადგომი მისცა საცხოვრებლად და სტამბისათვის. მანვე დიდი მონაწილეობა მიიღო შერმაზანოვის დარბაზის მოწყობაში. მე ვიცი, რომ ალექსანდრეს ვერცხლეულობა დაგირავებული იყო ერთ ქვრივ დედაკაცთან, რომელიც ბებია ჩემის მეზობლად იდგა. ალექსანდრე თავისის გულითა და რჩევით-კი არ იყო პირველი თავგამოდებული ქართველი, არამედ თავისის ჯიბით და შეძლებითაც, რომლის მსგავსი სხვა არავინ მეგულება დავასახელო. იგივე იყო ერთი მოთავეთაგანი ბატონ-ყმობის განთავისუფლების შემდეგ, რომ ბეჭდვით წარმოსთქვა ჩვენი ქონების ნაწილი საქვეყნო საქმეს შევწიროთო.

შერმაზანოვის დარბაზი კარგა დიდი იყო, გიმნაზიის დარბაზზედ მომცრო, შიგ გარშემო ლოჟები მოეწყო და შუაში პარტერისათვის ხუთიექვსი რიგი სკამი იდგა. სცენა ძალიან მომცრო იყო, ერთი უხერხულობა მოჩანდა სცენაზე, შუა კედლიდამ ჭერში გამოშვერილი ჰქონდა ბოძი, თითქოს ზამინი მიუციათ ქერისთვისაო. ამის გამო სანახავი უშნოვდებოდა.

ერთმა ჩემმა ამხანაგმა გიმნაზიელმა მითხრა, თეატრია აქეთ, მოდი წავიდეთო. შევედით ეზოში. ჯერ წარმოდგენა არ დაეწყოთ, ხალხი გარეთ დარბაზის წინ დერეფანში ტრიალებდა, მე ბილეთი არა მქონდა და არც ფული, გავიგონე, რომ სკამის მანეთიან ბილეთებს ექვს შაურად იძლეოდნენ. ხალხი იმისთანა იყო, როგორც ვაჭრის შეგირდები და ქარგლები, წვრილ ფეხა კანცელარიის მწერლები, ხელოსნები, მეწვრილმანეები. საზოგადოება ძალიან ემსგავსებოდა დღევანდელ ავჭალის სახალხო თეატრში მოსიარულეთ ანუ გალლერეის საზოგადოებას. შეძლებული დიდ თეატრის საზოგადოების მსგავსი არავინა სჩანდა. როგორღაც მოახერხა ჩემმა ამხანაგმა, სხვის ბილეთით იყო, თუ შეპარვით იყო, კარგა ხანს გარეთ ტრიალის შემდეგ გვეღირსა შესვლა. ხალხი გალლერეაში და სკამებზედ იჯდა. წინასკამები და ლოჟეები ცარიელი იყო, ორიოდეს გარდა. თამაშობდნენ „თილისმის ხანს“. სცენის მოწყობილება, დეკორაცია, თეატრის თეთრად შეღებილი კედლები და ლოჟები სულ ყველაფერი დაჩიბულის შეხედულობისა იყო, როგორც უბრალო ცირკისა. გულნატკენად გამოვედი. არტისტებს ეტყობოდათ უგულო თამაშობა. აბრამიძე ხანის როლს უგემურად ასრულებდა. ჩვეულებრივი მისი კომიკური ნიჭი თითქოს დაღვრემილიყო.

ამ ერთხელის მეტად მე იქ აღარ შემიხედია. მისაზიდველი არაფერი ჰქონდა და მალე ჩაიშალა (ექვს თვეზე, როგორც მოწმობს ივანე კერესელიძე). ქართული სცენა მოისპო ტფილისში. დიდ ხანამდის სცენის მოყვარეთა წარმოდგენებიც კი არ იმართებოდა. 1855 წლის დამდეგიდამ ტფილისის თეატრში მხოლოდ 1856 წ. ერთი წარმოდგენა იყო „შვილი უმანკოებისა“, რომელიც ზემოდ მოვიხსენიე. ტფილისში იყო მხოლოდ რუსული დრამატიული წარმოდგენები. მოიჯარადრე იყო ივანე სიმონის ძე შადინოვი, რომელიც ამ ჟამად ბათუმის მოქალაქედ ითვლება. 1855 და 1856 წლებში იტალიური ოპერებიც აღარ იყო და ტფილისის ხალხი ოპერის შემდეგ ამ წარმოდგენებსაც არ სწყალობდა, ნაკლებად დადიოდა. რუსულ დრამატიულ წარმოდგენაზედ რამდენჯერმე წამიყვანა ერთმა ჩემმა ნათესავმა, რომელსაც შადინოვთან მეგობრობა ჰქონდა და ლოჟის ბილეთი მუქთად მოსდიოდა, რადგანაც ცოტა იყიდებოდა.

პეტრე უმიკაშვილი

(შემდეგი იქნება)

ნაით და საქმე. ქუჩის მოცლილი ხალხი ბანქოობასა და ლოთობაში ატარებს დროს, და რაით ბანქოობს ანუ რითი ლოთობს, ღმერთმა უწყის. ამ ნაირს მათს ცხოვრებას, რაღა თქმა უნდა, ხშირად მოსდევს ჩხუბი. მაგალითად, 26 სექტემბერს, ასე ღამის ცხრა საათზედ, შეიქნა აყალ-მაყალი, ჯოხებისა და დანების ტრიალი. ცნობის მოყვარე ქუჩის პატარა ბიჭების კიჟინი შორს გაისმოდა. თითქმის მთელს საათს გასტანა ასეთმა უწესრიგობამ და ლანძღვა-გინებამ და ერთი პოლიციელი არ გამოჩნდა. ესეც-კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩხუბში არავინ დაშავებულა, მაგრამ ამ ქუჩის მშვიდობიანი მცხოვრებლები-კი დიდად შეწუხდნენ.

⁂ 27 სექტემბერს, მოლნინის ქუჩაზედ, მოლნინის ეკკლესიის გალავანს ახლო, ქ. თელავის მცხოვრებელმა ფრიდონ ბათიაშვილმა ნასვამსა და მძინარეს ტფილისის მცხოვრებელს გალუსტ ღარიბოვს შემოხსნა ვერცხლის ქამარი, 50 მან. ღირებული, წაამრო ოქროს ბეჭედი, 3 მან. ღირებული და ამოაცალა ვერცხლის საათი, 6 მან ღირებული, და ფულად 1 მან. და 50 კაპ., სულ 60 მან. 50 კაპ. დამნაშავე შეპყრობილ იქმნა და სასამართლოს გარდაეცა.

## რუსეთი

—

სასულიერო უწყებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ განსაკუთრებული გადასახადი დაადონ სამრევლო-საეკკლესიო სკოლების სასარგებლოდ იმ სოფლების ეკკლესიებს, სადაც საეკკლესიო სამრევლო სკოლები არ არსებობს.

— როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, სასულიერო უწყებასავე აზრადა აქვს დედათა ყველა საეპარქიო სასწავლებელთან დაარსოს განსაკუთრებული საპედაგოგიო კლასები.

— რადგანაც ამ ბოლოს დროს მიწად-მოქმედების სამინისტროს დახმარებით სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათ, სამეურნეო სკოლებმა და სხვა დაწესებულებათ ძალიან მოუხშირეს სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა გამოფენის გამართვას, ამიტომ სამინისტროს ის ფული აღარა ჰყოფნის, რაც აქამდის ამ საქმისათვის მას ხაზინიდგან ეძლეოდა. ამის გამო სამინისტროს შუამდგომლობა აღუძრავს გადადებულ იქმნას ყოველ წლიწადს ამ გამოფენისათვის 15,000 მანეთის ნაცვლად, როგორც აქამდის იყო, 40.000 მანეთი.

## უცხოეთი

**ინგლისი და ტრანსვაალი.** სამხრეთ აფრიკაში ისე გამწვავდა საქმე, ისე ამხედრდნენ ერთი მეორეზედ ორთავე მხრით, რომ ვითომც ომი ოფიციალურად გამოცხადებული იყოს. იქიდგან მოსულ დეპეშებში მხოლოდ ჯარების გადაყვან-გადმოყვანისა და მათი დაბანაკების ამბავია. ზოგიერთ ინგლისურ გაზეთს ეშინიან, რომ ბოერებმა არ დაგვასწრონ ჯარების გადმოყვანა საზღვრებზედ და ნატალს არ შემოესიონო. ორანჟის რესპუბლიკა, ეს ერთგული მეგობარი ტრანსვაალისა, ისე მზადდება საომრად, როგორც ეს ტრანსვაალი. ლონდონში ზოგიერთები უკმაყოფილებას აცხადებენ, რომ ინგლისი მზად არ არის საომრად, მაგრამ ინგლისის სამხედრო წრეებში-კი ამტკიცებენ, რომ ამ მხრით შიში არ უნდა გვქონდეს, რადგან სანამ საშველი ჯარი მოვიდოდეს, ინგლისი შესძლებს გამაგრებას თავისს ახალშენებში სამხრეთ აფრიკაში, და როცა ჩვენი ახალი ჯარები მივა, მაშინ-კი ცუდად იქნება ბოერების საქმეო.

ბრიუსელის უნივერსიტეტში კრიუგერის ორი ძმის წული სწავლობდა თურმე და ორივენი დეპეშით დაბარებულ იქმნა პრეტორიაში. ისინი უკვე ჩაურიცხავთ მხედრობაში. გარდა ამისა, რამდენსამე ას სტუდენტს ბრიუსელში სურვილი განუცხადებია თავისუფალ მეომართა რაზმის შედგენისა სამხრეთ აფრიკისათვის.

— რამდენსამე ამხანაგობას უთხოვნია ლორდ როზბერისათვის, სიტყვა წარმოსთქვი ეხლანდელ კრიზისის შესახებო, მაგრამ მას გადაჭრილი უარი განუცხადებია. ლიბერალთა დასის დიდძალს ნაწილს შეუთვლია როზბერისათვის, რომ მშვიდობიანობის მომხრეთ თუ მხარი არ დაუჭირე, ჩვენს ნდობას დაჰკარგავო.

— ყველა გაზეთები ერთხმად აცხადებენ, რომ ბოერებმა ერთობ ფიცხლად მოიყარეს თავი მტრის საზღვრებზედო. ჯარები განუწყვეტლად მიემგზავრებიან თურმე მტრისათვის გზების შესაკვრელად. ამ დღეებში ვოლკსრუსტში წასულა ნემეცთა რაზმი, რომელიც 300 კაცისაგან შესდგებოდა; იმას თან გაჰყოლია ჰოლანდიელთა რაზმი. ფოლკსრაადს (პარლამენტია) დაუდგენია, რომ იმ უიტლენდიორებს, რომელნიც ომის დროს ჩვენს მხარეს დაიჭერენ, ამომრჩევლობის უფლება მიენიჭოსო.

ბოერები ძლიერ კმაყოფილი არიან თურმე, რომ ასე ჩქარა მოახერხეს ჯარების საომრად ფეხზედ დაყენება. მაგრამ სხვა საქმეები-კი შეჩერებულა ტრანსვაალში. მწარმოებელს ნაწილს ხალხისას რესპუბლიკაში უცხოელები (უიტლენდიორები) შეადგენდნენ. მაგრამ ისინი ასეთ არეულობის გამო ქვეყნას სტოვებენ და ყოველ დღე ასობით და ათასობით საზღვარ-გარედ გარბიან. რაღა თქმა უნდა, ეს გარემოება ცუდად იმოქმედებს ტრანსვაალის ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებაზე.

### სასამართლოს მატიანე

ყალბის ფულის მოჭრის საქმე

27 სექტემბერს ტფილისის ოლქის სასამართლოში გაირჩა საქმე მოქალაქეთა ივ. კასილიევისა, ევგ. თარხნიშვილისა და ბეგლარ ხოჯაშვილისა, რომელთაც ისა ჰბრალდებათ, რომ მათ მოსჭრეს და გაასაღეს ოქროს და ვერცხლის ყალბი ფული.

1898 წლის დამდეგს მე-6 ნაწილის ბოქაულს გლებოვს მოახსენა ერთმა მისმა აგენტმა, რომ ვიღაც ბეგლარ ხოჯაევი ტფილისში ყალბ ფულსა სჭრის დაავრცელებსო. ამასთან თვისის სიტყვის დასამტკიცებლად მან გარდასცა ბოქაულს გლებოვს რამდენიმე ყალბი ფული, რომელიც ხოჯაშვილისათვის გამოერთმია. ამ აგენტს ბოქაულმა დაავალა: თვალ-ყური ადევნე ხოჯაშვილს და კიდევ რამდენიმე ყალბი ფული იშოვეო. რადგან აგენტმა არ შეასრულა ბოქაულის დავალება, ამის გამო გლეხობამ დაპატიჟა მეორე აგენტი ტერ-აბრამოვს, გაეცანი ხოჯაშვილს, შეიტყე ყველაფერი და პირობა დაუდე, რომ მისგან ყალბ ფულს იყიდიო. ტერ-აბრამოვის დასახმარებლად დანიშნა კიდევ ორი აგენტი ვიღაც მიმიგური და მოლა ბაგირ ოღლი. მალე აგენტებმა გამოარკვიეს, რომ ხოჯაშვილი სჭრიდა ყალბ ფულს მარტო კი არა, არამედ თარხნიშვილისა და ივ. ვასილიევის მონაწილეობით. მათი საზოგადო სახელოსნო იმყოფებოდა ალელოვის სახლში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, მტკვრის მახლობლად; ასე რომ გაჭირვების დროს მათ ადვილად შეეძლოთ ყალბი ფული მტკვარში გადაეყარათ. ბოქაულმა გლებოვმა უბრძანა აგენტებს, შეუკვეთეთ ბოროტგამზრახველთ ბევრი ყალბი ფული და ფულის ჩასაბარებელ ადგილად დანიშნეთ კირკოროვის აზიური ბუფეტი კარან ცოვის მეგლის მახლობლადაო. დანიშნულ დროს ბოქაულმა თან წაიყვანა სხვანაირად ჩაცმული რამდენიმე პოლიციელი და თვისი თანაშემწე მარგაევსკი და შევიდა აზიურ ბუფეტში. კუთხეში ცალკე სტოლს შემოსხდომოდნენ ივ. კასილიევი, თარხნიშვილი და გლებოვის ორი აგენტი და სჯამდნენ. ბრალდებულმა თარხნიშვილმა დაინახა თუ არა ის, დაიყვირა: „ჰა, ეს შენა ბრძანდები გლებოვო!“ და ხელი მოივლო ხანჯალზედ, მაგრამ პოლიციელმა აღარ აცალა და შეიპყრო. თარხნიშვილი გასჩხრიკეს სასტუმროში და ჯიბეში ბევრი ყალბი ფული უნახეს; ამას გარდა სტოლ ქვეშაც იპოვეს ქაღალდში გამოხვეული ყალბი ფულები, რომელიც გლებოვის დანახვის დროს თარხნიშვილს ჩაეგდო. სულ ბრალდებულთ წაართვეს 27 ყალბი ოქროს 15 მანეთიანი, 4 ოქროს 5 მანეთიანი, და მრავალი ვერცხლის აბაზიანი.

ერთი შეპყრობილთაგანი, ივ. კასილიევი გამოუტყდა ბოქაულს გლებოვს და უთხრა: თარხნიშვილისა და ხოჯაშვილის მონაწილეობით სხვა-და სხვა გვარ ყალბ ფულს ვჭრიდიო, და, უჩვენა-რა ბოქაულს ფულის მოჭრის ადგილი თვისი საზენკლო, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, გარდასცა სახელოსნოს გასაღები, რომელშიაც შემდეგ აღმოჩნდა ყალბის ფულის მოსაჭრელი მრავალი იარაღი; იქვე იპოვეს ოქროს და ვერცხლის ყალბი ფულები. ბრალდებულთ თარხნიშვილმა და ხოჯაშვილმა, თუმცა მათს ბინაზედ აღმოაჩინეს ნავთიერი საბუთები, დამნაშავეებად არ იცნეს თავი.

ტფილისის ოლქის სასამართლომ დამნაშავეებად იცნო კასილიევი, ხოჯაშვილი და თარხნიშვილი, რომ ყალბი ფული მოუჭრიათ და გაუვრცელებიათ, და მიუსაჯა სამივეს ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და კატორგაში გაგზავნა თარხნიშვილსა და ხოჯაშვილს 8 წლით, ხოლო კასილიევს—6 წლით.

### დამავიწროდა

ღვინისაგამ თავი გეტკინება, ბანქოში წაგებისაგან ჯიბე დაგიცარიელდება, ხოლო ქალებისაგან, თავსა და ჯიბეს გარდა, გულიც გეტკინება.

ბესტუჟევ-მარლინსკი

* * *

მიყვარს დედა, ვინაითგან მას უშეტესად ყოველთა უყვარვარ.

ლაურიძე

* * *

გუტტენბერგს რომ სცოდნოდა, თუ ჟურნალ-გაზეთები დაარსდებოდა, თვითვე გააუქმებდა თავისს მოგონილს წიგნთ საბეჭდავ საშუალებას.

კარმენ სილვა.

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამ ახლო მომავალში დაამთავრებენ სიმპლონის გვირაბის გათხრას, რომელიც რკინის გზისთვის გაჰყავთ. ეს გვირაბი ყველა არსებულ გვირაბზედ უდიდესი იქმნება. დღეს ყველაზედ გრძელ გვირაბად სენ-გოტარის გვირაბი ითვლება, რომელსაც სიგრძე 14,984 მეტრი აქვს. ახალ გვირაბს-კი სიგრძე 19,728 მეტრი ექმნება. ამ გვირაბის გათხრა ნაკისრი აქვს ერთ ფირმას 54 მილიონ ფრანკად. იმ პირობით-კი, რომ მუშაობა $5^1/_2$ წელიწადში გაათავოს.

* * *

როგორც ვუწყით, მაიმუნის შემდეგ ყველაზედ უფრო გონიერ და ჭკვიან ცხოველად ძაღლი და სპილო ითვლება. სხვათა შორის, ერთი ფრანგული ჟურნალი იუწყება ერთ ამბავს, საიდგანაც სჩანს, რამდენად გონიერია და მოსაზრების ნიჭით არის დაჯილდოვებული სპილო. ამ გაზეთის სიტყვით, სპილო მისულა ღობესთან, თავისის ხორთუმით ამოუძვრია ამ ღობიდგან დიდი კეტი, დაულეწნია ეს კეტი და ერთი მწვეტიანი ნაფოტი მოუშორებია. შემდეგ მოხერხებულად დაუჭერია ერთის წვერიდგან ნაფოტი და ზურგზედ, რომელზედაც რაღაც დასიებული მოჩანდა, ფხეკა დაუწყია. ცოტა ხანს შემდეგ ამ ადგილიდგან დასიებული წურბელა გადმოვარდნილა. თურმე ეს წურბელა სისხლსა სწუწნიდა. სპილოს მანამდე არ მოუსვენია, ვიდრე ზემოხსენებული აპერაცია არ მოუხდენია. როდესაც წურბელა მიწაზედ დაცემულა, სპილოს ფეხი დაუდგამს და გაუჭეჭყნია.

* * *

როგორც ჰამბურგელი გაზეთები იუწყებიან, ზანზიბარში სცხოვრობს ვინმე აღა—ხანი, რომელსაც მუსლემანნი მაჰმადის შთამომავლად სთვლიან. მაჰმადიანთა ერთი სექტა ისე დახვდა და მოექცა თურმე ამ აღა-ხანს, როგორც ღვთისგან მოვლინებულ კაცს. აღა-ხანს ყოველის მხრიდგან აუარებელი საჩუქრები მისვლია, ისეთნიც აღმოჩნდნენ, რომელნიც ათი ათას და ასი ათას მანეთობით აძლევდნენ ფულს. რასაკვირველია იმ იმედით, რომ ბრწყინვალე წინაპარი აღა—ხანისა მაჰმადი დაინახავს ამ გულუხვობას და ტყუილად არ ჩაუტარებს მართლ-მორწმუნეთ და საიქოს სასუფეველს დაუმკვიდრებს მათ.

ინგლისის მთავრობა ფიანდაზად გადაეშალა თურმე ამ აღა—ხანს, იცის, რომ აღა—ხანის მეგობრობა დიდ სარგებლობას მოუტანს იმ სახელმწიფოს, რომლის ქვეშევრდომთა შორის 70 მილიონი მაჰმადიანია. აღა—ხანს ერთი სიტყვის წარმოთქმის მეტი არ უნდა, რომ ეს 70 მილიონი ინგლისის წინაამდეგ აადელვოს.

* * *

13 აგვისტოს ბერლინში დაიხურა ესრედ წოდებული „ცამეტთა კლუბი“. მოგეხსენებათ, ცამეტი თითქმის ყველგან და ყველა ხალხში ცუდ რიცხვად არის მიჩნეული. ბევრს ისე ეშინიან ამ რიცხვისა, როგორც ცხვარს მგელისა. ბერლინში „ცამეტთა კლუბი“ დაარსებულ იქმნა ამ ცრუმორწმუნოების წინაამდეგ საბრძოლველად. დახურვის დღეს კლუბის თავმჯდომარემ გრძელი სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ კლუბმა თავისის მოქმედებით დაამტკიცა სრული უაზრობა ამ ცრუ-მორწმუნეობისაო. კლუბი ცამეტ წევრისაგან შესდგება, დაარსებულ იქმნა 13 აგვისტოს 1886 წელს, მაშასადამე, იგი სწორედ ცამეტი წელიწადი არსებობდა და ამ ხნის განმავლობაში წევრებს არამც თუ არაფერი სასიკეთო არ შემთხვევია, არამედ წინანდელ წლების შედარებით ამ 13 წელიწადს უფრო ბედნიერად იცხოვრესო.

### გამოსადეგი ცნობა

—

თუ გინდათ ზამბახი ერთს ზაფხულს ორჯელ აყვავილდეს, მკათათვის შუა რიცხვებში ყველა მწვანე და ყვითელი ფოთლები უნდა მოაშოროთ. ერთის თვის შემდეგ ახალს ფოთოლს გამოიღებს და შემდეგ ყვავილსაც გამოიტანს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 სექტემბერი

**ნიუ-კესტლი.** (ნატალი). დღეს გლეხები მოვიდნენ ბუფალოს მდინარიდგან და ამბავი მოიტანეს, რომ ბურები მდინარის ნაპირებზე დარაჯებს სტოვებენ და უკანვე ბრუნდებიანო.

**პარიჟი.** გრაფ მურავიოვის მოსვლის გამო გაზეთში თანაგრძნობას აცხადებენ. „Figaro“-მ ამ საგანს ვრცელი წერილი უძღვნა, რომელშიაც შემდეგს ამბობს: „სასიხარულოთ უნდა აღვნიშნო, რომ საფრანგეთ-რუსეთის კავშირი ასე მჭიდრო არაოდეს არ ყოფილა, როგორც უკანასკნელ ერთ ს წლის განმავლობაში. საფრანგეთის შინაურმა განხეთქილებამ მას ვერა დააკლო-რაო“.


## განცხადებანი

### ისყიდება
### ორ-სართულიანი სახლი

დიდუბეში, შერემეტევის ქუჩაზედ, წყლის კრანის ახლო, № 23. ფასის შეტყობა იქვე შეიძლება, სახლის პატრონის ლაზარე კვაჭაძისაგან.

(5—155—3)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




### ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

### „კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მეწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა —2 მან., პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

(100—150—11)


Дозволено цензурою, Тифлисъ 28 го Сентября 1899 г. სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობის რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.